ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 242

10 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017-ისთვის" (ს/ნ: 404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარსო 2017"-სთვის (ს/კ: 404534312) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთავრობის 2018 წლის 18 ივლისის N18.579.879 განკარგულებით გათვალისწინებული ქონების: ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარსო 2017"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**